პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 15 მარტი, 1944 წ. № 54 (6998). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელ არმიას მომზადებული რეზერვები

მალე სამი წელი შესრულდება, რაც საბჭოთა კავშირი ეწევა დიდ სამამულო ომს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც მუხანათურად დაესხნენ თავს ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს. წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები აგემა ჰიტლერელ დამპყრობლებს. დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმია ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს ვერაგ მტერთან ბრძოლაში და ახლოვებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

გმირი წითელი არმიის მიერ სამამულო ომის გიგანტურ ფრონტზე მოპოვებული უდიდესი გამარჯვებები ახალ მძლავრ პატრიოტულ აღმავლობას იწვევენ მთელს ჩვენს ქვეყანაში. ამ გამარჯვებებს აღფრთოვანებით ხვდებიან მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ხალხები.

საბჭოთა ხალხი ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს თავისი პირმშოს— წითელი არმიის დასახმარებლად. ზურგი არამარტო იარაღით, საჭურვლითა და სურსათით ამარაგებს ფრონტს, არამედ, კვალიფიციურ რეზერვებსაც უმზადებს ჩვენს არმიას.

სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფებში აღიზარდა მრავალი საუკეთესო მეომარი. მათ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს როგორც მამაცმა, უნარიანმა მებრძოლებმა და მეთაურებმა. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით კავკასიის მისადგომებზე, სტალინგრადთან, ლენინგრადთან, კურსკთან, დნეპრის გადალახვისათვის ისტორიულ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის. ასეთებია, მაგალითად, საბჭოთა კავშირის გმირები ნ. გოგიჩაიშვილი, ლ. ავალიანი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული ამხ. სარიშვილი, სამამულო ომის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული ამხ. კიკნაველიძე და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს მეექვსე რიგის საყოველთაო სამხედრო სწავლება. ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ სამხედრო სწავლება ქვეგანაყოფებში ორგანიზებულად, წარმატებით მიმდინარეობს. სავსებით გამოყენებულია განვლილი მუშაობის გამოცდილება. მებრძოლები სწავლობენ იმას, რაც დასჭირდებათ ფრონტზე, მტრის გასანადგურებლად.

თბილისის რაიონში კარგად არის დაყენებული მეცადინეობა ქვეგანაყოფებში. ამის შედეგად მებრძოლებმა საუკეთესოდ აითვისეს სამხედრო დისციპლინები, იარაღის ხმარება, მისი მატერიალური ნაწილი. ასევე კარგად მიმდინარეობს სამხედრო სწავლება თბილისის კიროვის რაიონში, წითელწყაროს, ბორჯომის და სხვა რაიონებში.

იქ, სადაც მეექვსე რიგის სამხედრო სწავლებისათვის დროზე მოემზადნენ, წინასწარ შეარჩიეს მეთაურები, სრულ წესრიგში მოიყვანეს მატერიალური ბაზა, სამხედრო კომისრები თვით ამოწმებენ დასწრებას, სასწავლო დისციპლინების ათვისებას, დისციპლინას და სხვ., მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს და შედეგებიც საუკეთესოა. მაგრამ არის ისეთი რაიონებიც, როგორც, მაგალითად, ცხაკაიას რაიონი, სადაც თავიდანვე სათანადოდ ვერ მოემზადნენ მეექვსე რიგის სწავლებისათვის. ახალციხის, გორის და ხაშურის რაიონებში მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული მატერიალური ბაზა. ზოგიერთ ქვეგანაყოფში არადამაკმაყოფილებელია დასწრების პროცენტი. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის ლენინის რაიონში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და ავტოსარემონტო ქარხნის მუშებიდან შემდგარ საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფებში. ეს კი უარყოფითს გავლენას ახდენს როგორც მათს მომზადებაზე, ისე მთელი ქვეგანაყოფის მეცადინეობაზე.

თანამედროვე ომი ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს მებრძოლებსა და მეთაურებს. უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „საჭიროა, რომ წითელი არმიის მოწინავე ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო გამოცდილება და მიღწევანი მთელი ჩვენი ჯარების კუთვნილება გახდეს, რომ მთელმა წითელმა არმიამ, ყველა მისმა მებრძოლმა და ოფიცერმა ისწავლოს მტრისათვის დარტყმა თანამედროვე სამხედრო მეცნიერების ყველა წესის მიხედვით“.

უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ეს ბრძნული მითითება მოქმედების საბრძოლო პროგრამაა აგრეთვე საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფებისათვის. ისინი ამზადებენ რეზერვებს წითელი არმიისათვის, და საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლები, რომლებიც ემზადებიან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩასადგომად, ფრონტზე უნდა მივიდნენ სამხედრო ცოდნით სათანადოდ აღჭურვილნი.

წითელი არმიის საბრძოლო გამოცდილება საუკეთესო სკოლაა საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთათვის, მათი სამხედრო მომზადების საფუძველია. ქვეგანაყოფების სწავლების დროს უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლიათ სამამულო ომის მონაწილეებს, რომლებსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება მოეპოვებათ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ყოფილი ფრონტელები საუკეთესოდ აწყობენ საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმეს ადგილებზე. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის დრანდის სამხედრო-სასწავლო პუნქტში სამამულო ომის მონაწილემ, ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა ბახტაძემ უზრუნველჰყო მებრძოლთა უკლებლივ დასწრება მეცადინეობაზე, თავის ოცეულში დაამყარა სანიმუშო სამხედრო დისციპლინა, ცოცხლად და საინტერესოდ ატარებს მეცადინეობას. ასეთივე მიღწევები აქვთ ამხ. კვიტელაძეს (წულუკიძე), ამხ. ბუსკაძეს (ცხაკაია) და სხვ.

თვალსაჩინოობა და კონკრეტულობა უმნიშვნელოვანესი ელემენტებია სამხედრო სწავლებაში. მებრძოლს უნდა ვასწავლოთ ის, რაც ფრონტზე დასჭირდება. მეცადინეობა არ უნდა იყოს დაფუძნებული პირობითობაზე, საჭიროა იგი ტარდებოდეს საფრონტო მდგომარეობასთან მაქსიმალური მიახლოებით, ვინაიდან ასეთი სწავლება მებრძოლს გაუადვილებს ფრონტზე სიძნელეების წარმატებით დაძლევას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მებრძოლთა პოლიტიკურ აღზრდას. მორალურ-პოლიტიკური გამოწრთობა საყოველთაო სამხედრო სწავლების ორგანული ნაწილია.

გავაძლიეროთ საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა მომზადება! მივცეთ გმირ წითელ არმიას საუკეთესო, ბრძოლისუნარიანი, ღირსეული რეზერვები! ეს—სამხედრო კომისარიატების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, საყოველთაო სამხედრო სწავლების მეთაურების საპატიო ამოცანაა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირების „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, რაც იძლევა საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღების უფლებას,

1. გვარდიის კაპიტანი ვასილ ნიკოლოზის-ძე ოსიპოვი და
2. გვარდიის მაიორი პაველ ანდრიას-ძე ტარანი.

დაჯილდოებულ იქნან „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით, გაკეთდეს ბრინჯაოს ბიუსტები, რომლებიც დაიდგას პოსტამენტზე დაჯილდოებულთა სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 13 მარტი.

ინგლისური და ამერიკული გაზეთები წითელი არმიის ახალ გამარჯვებათა შესახებ

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). ინგლისური გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ ცნობებს უკრაინაში საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევის შესახებ. გაზეთი „სანდი ტაიმსი“ ამ ოპერაციას ახასიათებს როგორც ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო გამარჯვებას ახლანდელ ომში და აღნიშნავს, რომ გერმანელები თავზარდაცემული არიან იმით, თუ როგორ აღწევენ რუსები ნამდვილ სასწაულებს თავიანთი სტრატეგიული ოსტატობით. გაზეთი სწერს, რომ ბრძოლა უკრაინაში უაღრესად საგულისხმოა. „იგი გვიჩვენებს, რომ გულდასმით დამუშავებულსა და მომზადებულ გეგმებს შეუძლიათ დასძლიონ დაბრკოლებანი, რომლებიც დაუძლევლად ითვლება“.

ლონდონის რადიო უკრაინაში საბჭოთა ჯარების ძლევამოსილ შეტევას მრავალ კომენტარს უძღვნის.

გერმანიის სამხედრო სარდლობა,—ნათქვამია ერთ რადიომიმოხილვაში, — თავზარდაცემულია რუსების დარტყმის ძალითა და სისწრაფით. ახლა გერმანელებმა დაჰკარგეს იმედი დროებითი სიწყნარისა, რასაც ისინი გაზაფხულის უგზოობის დადგომის გამო მოელოდნენ.

ლონდონის რადიო აღნიშნავს აგრეთვე, რომ „რუსების ჯარები ზუსტი საათის მექანიზმივით მოქმედებენ“ და რომ წითელი არმიის შეტევა გერმანელებისათვის ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელ მომენტში გაიშალა. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ გაზაფხულის წვიმები და უგზოობა ხელს შეუშლიდნენ რუსებს დაეწყოთ დიდი შეტევა. ჰიტლერის ეს ვარაუდი, — აღნიშნულია რადიოგადაცემაში, — რუსთა ჯარების მოქმედებამ ჩაშალა.

ნიუ-იორკი, 14 მარტი (საკდესი). ამერიკული გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ წითელი არმიის ნაწილების ძლევამოსილ შეტევას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს შეტევა სერიოზულ საფრთხეს უქმნის გერმანელთა ჯარებს. ბევრი კომენტატორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ წითელმა არმიამ თავისი წარმატებითი შეტევა უკრაინაში გაშალა გაზაფხულის უგზოობის მიუხედავად და ადგილ-მდებარეობის არახელსაყრელ პირობებში. ბევრი გაზეთი ფიქრობს, რომ გერმანელთა ჯარებს სამხრეთ უკრაინაში სტალინგრადის აჩრდილი დასტრიალებს თავს.

სსრ კავშირსა და იტალიას შორის წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ

ალჟირი, 13 მარტი (საკდესი). ა. წ. 7 მარტს იტალიის მთავრობამ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარშალ ბადოლიოს მეშვეობით, მიმართა საბჭოთა მთავრობას და სთხოვა საბჭოთა და იტალიის მთავრობებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარება და ორივე მთავრობის წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ამა წლის 11 მარტს საბჭოთა მთავრობამ აცნობა მარშალ ბადოლიოს თავისი თანხმობა ორივე მთავრობას შორის უშუალო ურთიერთობის დამყარებასა და თავიანთ წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლაზე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 მარტის ოპერატიული ცნობა

14 მარტის განმავლობაში პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები, ხძლევდნენ რა მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშების მოგერიებისას ჩვენმა ჯარებმა დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ვინიცის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პრილუკი, ვახნოვკა, ჟურავა, ელენოვკა, იზაბელოვკა, სტეპანოვკა, ზარუდინცი, მიხაილოვკა, კომაროვი და რკინიგზის სადგური გუმენოე (15 კილომეტრზე ვინიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ქალაქ უმანის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ავითარებდნენ შეტევას და დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრი—ქალაქი გაისინი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შაბელნაია, გუდი, კრიშტოფოვკა, კარბოვკა, კუნა, ზიატკოვცი, გუბნოვკა, სობოლევკა, გუბნიკი, პობორკა, გლუბოჩეკი, მეტანოვკა, ზავადოვკა, ჩერნიატკა, სტავკი, ხაშჩევატო, მოგილნო, ტაუჟნა, გრუზსკოე და რკინიგზის სადგურები კრიშტოფოვკა, ზიატკოვცი, გუბნიკი, მელეშკი, დუკლია, ბენრიხოვკა, ხაშჩევატო, მოშჩონაია, ტაუჟნა.

ქალაქ კიროვოგრადის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები პოდვისოკოე, ნოვოარხანგელსკი, ხმელევოე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, რომელთა შორის არის დიდი დასახლებული პუნქტები ნერუბაიკა, ტორგოვიცა, კოპენკოვატა, როსოხოვატეცი, სკალევოე, ტიმოფეევკა, ერდელევკა, მიროლიუბოვკა, ანასტასიევკა.

ნიკოლაევის მიმართულებით უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და დაიკავეს ქალაქი შიროკაია ბალკა (დნეპრის ლიმანის ჩრდილოეთ ნაპირზე), ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრები ბოლშაია სეიდემინუხა, ბელოზერკა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იავკინო, ნოვო-ალექსანდროვკა, ბარმაშოვო, კისელიოვკა, ჩერნოპოლიე, ნოვო-პეტროვკა, სპასკაია, მალეევკა, ნოვი ოჩაკოვი, პეტროპავლოვკა, კალუჟნე, მურახოვკა, ვასილიევკა, პავლოვკა, შკურინოვო-ზაგორიანოვკა, მუზიკოვკა, ჩერნობაევკა, კასპეროვკა და რკინიგზის სადგურები ბერეზნეგოვატა, ჩეხოვიჩი.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები დასახლებული პუნქტების ბერეზნეგოვატოე-სნიგირიოვკის რაიონში გარს შემოერტყნენ გერმანელთა დიდ დაჯგუფებას რამდენიმე დივიზიის შემადგენლობით. მოწინააღმდეგემ არაერთხელ სცადა თავი დაეღწია გარშემორტყმისათვის, მაგრამ უკუგდებულ იქნა, ამასთან 10.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით. ჩვენმა ჯარებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 300-ზე მეტი ქვემეხი და ტყვედ წამოიყვანეს 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

13 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 53 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

* * *

პროსკუროვის მიმართულებით მოწინააღმდეგემ მოიშველია ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები და განუწყვეტლივ გადმოჰყავდა ისინი კონტრიერიშებზე. საბჭოთა გვარდიელებმა ტანკისტებისა და არტილერისტების დახმარებით მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიშები, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი. დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 40 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. გვარდიის სერჟანტ ხამიტოვის სატანკო ეკიპაჟი, რომელიც დაზვერვის დავალებას ასრულებდა, თავს დაესხა მოწინააღმდეგის ერთი ნაწილის შტაბს. ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა შტაბი, ხელთ იგდეს დოკუმენტები და თავიანთ ნაწილში მოიტანეს.

* * *

ვინიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა განავითარეს შეტევა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, აგრეთვე რკინიგზის სადგური გუმენოე, რომელიც 15 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ვინიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საბჭოთა ტანკისტებისა და ქვეითების დარტყმებით გერმანელები სასწრაფოდ იხევენ უკან და სტოვებენ საბრძოლო ტექნიკას. ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში გაჟლეტილია მოწინააღმდეგის ორი პოლკი ქვეითი ჯარი. გერმანელებს წავართვით 30 ქვემეხი, 35 ნაღმსატყორცნი, 111 ტყვიამფრქვევი, 154 ავტომანქანა, 6 სხვადასხვა საწყობი და სხვა დავლა. წამოყვანილია დიდძალი ტყვე. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებმაც გუშინ გერმანიის მე-18 საარტილერიო დივიზია გაანადგურეს, ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 150 ქვემეხი და ბევრი საომარი მასალა.

* * *

ქალაქ უმანის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას. ნ შენაერთის მებრძოლებმა გადალახეს მდინარე სობი ქალაქ გაისინის სამხრეთით და ჩრდილოეთით და გერმანელებს გარშემორტყმის საფრთხე შეუქმნეს. სხვა ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგეს ფრონტიდან დაარტყეს და სასტიკი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი გაისინი. ქალაქის მისადგომებზე და მის ქუჩებში მტრის ასობით გვამი დარჩა. წამოღებულია ბევრი დავლა. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და ფართო ფრონტით მიადგნენ მდინარე იუჟნი ბუგს.

* * *

ქალაქ კიროვოგრადის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები პოდვისოკოე, ნოვო-არხანგელსკი და ხმელევოე. საბჭოთა მებრძოლები და ოფიცრები გმირობისა და მამაცობის მაღალ ნიმუშებს იჩენენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში. ერთ რაიონში გვარდიელთა ოცეულმა უკან დასახევი გზა გადაუჭრა მოწინააღმდეგის ჯგუფს. ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს 160 ჰიტლერელი და მათ წაართვეს ტანკი, ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი და 24 ტყვიამფრქვევი. გვარდიის ზემდეგ მიროშნიჩენკოს საქვემეხო გუნდმა, რომელიც ქვეითს ჯარს მიჰყვებოდა, ცეცხლითა და ბორბლებით დააზიანა გერმანელთა ორი ტანკი და გაჰფანტა მტრის ქვეითი ჯარის ჯგუფი. გვარდიელმა ამხ. ანვუტოვმა მოჰკლა გერმანელი ოფიცერი და ტყვედ წამოიყვანა ოთხი გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას. მიუხედავად უგზოობისა და გაუვალი ტალახისა, ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა დღე-ღამის განმავლობაში 30-მდე კილომეტრი გაიარეს. ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები იავკინო, ნოვო-ალექსანდროვკა, ბარმაშოვო და ნოვო-პეტროვკა, დასავლეთიდან მიადგნენ მდინარე ინგულეცს და უკან დასახევი გზა გადაუჭრეს მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებას. ამ დროს სხვა ჩვენმა შენაერთებმა განავითარეს შეტევა მდინარე ინგულეცის მარცხენა ნაპირის გასწვრივ და დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი ბოლშაია სეიდემინუხა, დასახლებული პუნქტები ვასილიევკა და პავლოვკა და ამით შეკრეს რკალი გერმანელთა დივიზიების გარშემო ბერეზნეგოვატოე-სნიგირიოვკის რაიონში. მოწინააღმდეგის სასოწარკვეთილი ცდები გამოჭრილიყო გარშემორტყმიდან მარცხით დამთავრდა. ჩვენი ჯარები ავიწროვებენ გერმანელთა გარშემორტყმულ დივიზიებს და უდიდეს ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედი ორი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გზატკეცილზე მიმავალ გერმანელთა კოლონას. საბჭოთა პატრიოტებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს მათი საჭურველი. ვოლინის ოლქში მოქმედი პარტიზანთა რაზმის ჯგუფი ერთ დასახლებულ პუნქტში თავს დაესხა გერმანელ პოლიციელებს, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას სძარცვავდნენ. პარტიზანებმა დახოცეს ჰიტლერელები და მცხოვრებთ დაუბრუნეს მარცვლეული და სხვა პროდუქტები, რომლებიც გერმანელებმა მათ წაართვეს.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება შორი მოქმედების ავიაციის ოფიცერთა შემადგენლობისათვის

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შორი მოქმედების ავიაციის ოფიცერთა დიდ ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სულ 37 ოფიცერს. (საკდესი).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულთა შორის არიან:

სუვოროვის II ხარისხის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი მ. შ. გვიშიანი.

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების მე-2 რანგის კომისარი ს. ა. გოგლიძე, სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი ს. რ. მილშტეინი.

წითელი დროშის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების კომისარი ვ. ა. კაკუჩაია.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი კ. პ. ბზიავა.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

დ. ნ. ნაკაშიძე, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი მ. გ. ნაცვლიშვილი, სახელმწიფო უშიშროების მაიორი გ. დ. სიმონიშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სს რესპუბლიკიდან დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის II ხარისხის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი ა. ნ. რაფავა, სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი შ. ო. წერეთელი.

წითელი დროშის ორდენით

სახელმწიფო უშიშროების კომისარი ა. ა. გაგუა, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ა. ი. გუგუჩია, სახელმწიფო უშიშროების კომისარი ს. ს. დავლიანიძე, სახელმწიფო უშიშროების კომისარი გ. თ. კარანაძე, მილიციის მე-3 რანგის კომისარი კ. გ. ნაჭყებია, გენერალ-მაიორი ნ. მ. რუხაძე.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

პოდპოლკოვნიკი ი. ხ. კარსანიძე, გენერალ-მაიორი ნ. დ. ლაბაძე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ი. ნ. მელაძე, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ე. ლ. ტატუზოვი, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი მ. ი. შავგულიძე.

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

მაიორი ვ. შ. ჯაოშვილი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი პ. ე. კალანდაძე, მაიორი მ. ლ. მენაბდე, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი ა. ი. ხუბაევი.

სამხედრო მეკავშირე ნინო კანდელაკი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მრისხანე ჟამს, როცა ჩვენი სამშობლო საფრთხის წინაშე იყო, ნინო კანდელაკი სამხედრო მეკავშირე გახდა. მალე გაირბინა სწავლის დღეებმა. წითელარმიელი ნინო კანდელაკი ტელეფონისტის თანამდებობაზე დაინიშნა. დრო გადიოდა, ახალგაზრდა ტელეფონისტი მუშაობის ჩვევებს იძენდა. ტელეფონისტის მუშაობა რთული არ არის, მაგრამ სისწრაფეს, სიზუსტესა და ცოდნას მოითხოვს. ყველა ეს თვისება აქვს ნინო კანდელაკს. სამსახურის მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებით ნინო კანდელაკმა ავტორიტეტი მოიპოვა რიგითი მებრძოლთა და სერჟანტთა შორის, რომელნიც მომსახურებას უწევენ სატელეგრაფო-სატელეფონო სადგურს.

წითელ არმიაში სამსახურის დროს ნინო კანდელაკმა ორჯერ მიიღო ფულადი ჯილდო, სამჯერ—მადლობა. სამშობლოს პატრიოტი ნინო კანდელაკი თავდადებული შრომით ამართლებს წითელი არმიის მებრძოლის წოდებას.

ვ. ყარა-მურზა

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების ახალი გამარჯვება

მოქმედი არმია, 13 მარტი (საკდესის სპეც. კორ.). უკრაინის სამხრეთ ნაწილში გააფთრებული ბრძოლებია. შემტევს წითელი არმიის ნაწილებს ვერ აჩერებს ვერც გაზაფხულის უგზოობა, ვერც გერმანელთა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა. ჩვენი მეომრები ზედიზედ ურტყამენ მტერს, სპობენ მის ცოცხალ ძალას და ტექნიკას. უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე დნეპრი ქვემო წელში, განავითარეს შეტევა და დღეს ქუჩებში გამართული ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი ხერსონი — რკინიგზებისა და წყლის კომუნიკაციათა დიდი კვანძი და გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი. მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა.

ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს შეტევისთვის უფრო მძიმე დრო. სულ პატარა ველის მდინარეც კი, რომლისაგან ივლისში ნახევრად დამშრალი კალაპოტი-ღა დარჩება, ახლა წყლით გავსებულა და ბობოქრობს, იგი დაბრკოლებას ჰქმნის გზაზე. მაგრამ საბჭოთა ნაწილები კი არ ელოდებიან, აბა როდის ჩადგებიან მდინარეები კალაპოტში. წინ უკრაინის ჯერ კიდევ ბევრი სოფელი და ქალაქი იტანჯება გერმანელ ოკუპანტთა უღელქვეშ. ისინი მიელიან თავიანთ განმათავისუფლებელთ. და საბჭოთა მეომრები, ყოველივე სიძნელეთა მიუხედავად, დღისითა და ღამით მიიწევენ წინ სულ უფრო და უფრო შორს შეტევის გზებზე.

მესანგრეთა და მეპონტონეთა ქვეგანაყოფები, რომელნიც ქვეითს ჯარს მიჰყვებიან, დაუყოვნებლივ აკეთებენ გადასასვლელებს, რომლებითაც წინ მიდიან ჩვენი მსროლელები, ნაღმსატყორცნელები, არტილერისტები. სდევნიდა რა უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, ერთმა ჩვენმა შენაერთმა დღის განმავლობაში დაიკავა 20 დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო დავლა, რომელშიც არის [illegible] ვარგისი ქვემეხი და ბევრი ყუმბარა.

შეუნელებელი ძალით უტევენ 5 შენაერთის გვარდიელები. ერთს შედარებით მცირე უბანზე ჰიტლერელებმა დიდძალ ცეცხლით საშუალებებს მოუყარეს თავი, დააგროვეს სარეზერვო ნაწილები და რამდენჯერმე მოიტანეს კონტრიერიში ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარით, რომელსაც ეხმარებოდნენ ტანკები და თვითმავალი ქვემეხები. გვარდიელებმა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს და ერთი დღის განმავლობაში განდევნეს მოწინააღმდეგე მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტებიდან.

გვარდიელთა წარმატება უზრუნველჰყო ყველა გვარეობის ჯარის უნარიანმა თანამოქმედებამ, მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტების დღისით და ღამით შემოვლის ფართოდ გამოყენებამ. ერთ დასახლებულ პუნქტში გერმანელები განსაკუთრებით მკვიდრად გამაგრდნენ და კონცენტრირებული ცეცხლით იცავდნენ თავიანთი პოზიციების ყველა მისადგომს. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო [illegible] მტრის ცეცხლის სისტემა. ეს გააკეთეს მეავტომატეთა მცირე ჯგუფებმა. ნისლის საფარქვეშ ისინი შეიპარნენ სოფელში და ავტომატების ცეცხლითა და გრანატებით მუსრი გაავლეს ტყვიამფრქვევთა და ნაღმსატყორცნთა გუნდებს.

როგორც კი მტრის ცეცხლმა შენელება იწყო, სოფელზე იერიში მიიტანეს ქვეითი ჯარის ძირითადმა ძალებმა. სწრაფმა დარტყმამ დაამთავრა გამაგრებული პუნქტის განადგურება. ქვეითები მტერს დაედევნენ, არ აძლევდნენ მას საშუალებას გამაგრებულიყო შუალედ ზღუდეზე, საბოლოოდ ანადგურებდნენ დემორალიზებულ მოწინააღმდეგეს, ამაგრებდნენ დაკავებულ სოფლებს, ხელთ იგდებდნენ დიდძალ დავლასა და ტყვეებს.

აი რამდენიმე მეტად მრავალმეტყველი ციფრი. შეტევის ერთი დღის განმავლობაში გვარდიელებმა გაჟლიტეს 800 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 44 ტყვიამფრქვევი, 9 ქვემეხი, 12 ნაღმსატყორცნი. ხელთ ვიგდეთ დავლა: 23 ქვემეხი, 18 ნაღმსატყორცნი, 125 ტყვიამფრქვევი, 12 ჯავშანტრანსპორტიორი, 17 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, ბევრი მოტოციკლი, დიდძალი ყუმბარა, ნაღმი, ვაზნა, ოთხი დიდი სამხედრო საწყობი.

უკრაინის სამხრეთ ნაწილში წარმოებულ შეტევითს ბრძოლებში ხშირია ოფიცერთა გაზრდილი სამხედრო სიმწიფის, რიგით მებრძოლთა მამაცობისა და გულადობის მაგალითები. უტევდა რა ერთ დასახლებულ პუნქტს, ლეიტენანტ სტეპანოვის ასეული გერმანელთა ძლიერ ცეცხლითს წინააღმდეგობას წააწყდა. მებრძოლნი იძულებული გახდნენ გაწოლილიყვნენ. მაშინ სტეპანოვმა უბრძანა მებრძოლთა ჯგუფს ინტენსიური, პირდაპირი ცეცხლი დაეშინა, თვითონ კი ძირითადი ძალებიანად დამბალ მინდორზე ხოხვით წავიდა სოფლის შემოსავლელად. მოწინააღმდეგემ ვერ შეამჩნია ეს მანევრი. გვარდიელები უეცრად შეიჭრნენ სოფლის კარმიდამოში ფლანგიდან და გადასწყვიტეს დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლის ბედი.

ცოტა სხვანაირად, მაგრამ აგრეთვე წარმატებით განახორციელა ანალოგიური ოპერაცია ქვეგანაყოფის მეთაურმა კაზაკოვმა. გერმანელთა ძლიერ ცეცხლითს წინააღმდეგობას რომ წააწყდა, მან მეავტომატეთა დაჭრილი ჯგუფი გამოჰყო სერჟანტ ბაიკოვის მეთაურობით; ეს ჯგუფი ახლო მანძილზე მიეპარა მოწინააღმდეგეს. რიგითმა მებრძოლებმა სტეპანოვმა, გლებოვმა და სხვებმა გრანატები დააყარეს გერმანელთა სანგრებს და სატყვიამფრქვევო ბუდეებს. რითაც არეულ-დარევა გამოიწვიეს ჰიტლერელთა შორის. ამით ისარგებლა კაზაკოვმა და დამკვრელი ჯგუფის შემდეგ მთელი ქვეგანაყოფი გადაიყვანა იერიშზე. დასახლებული პუნქტი აღებულ იქნა.

უკრაინის სამხრეთ ნაწილში შეტევა გრძელდება. უკან იხევენ რა ჩვენი ჯარების [illegible] გამო, გერმანელები სწვავენ ავტომანქანებს ქონიბიანად, საწყობებს, გზებზე ჰყრიან მთელ აღალებს, ტექნიკას, იარაღს.

ი. ლაპონოგოვი

ორნი ყორღანზე

მოქმედი არმია, 7 მარტი (საკდესის სპეც. კორ.). ეს მცირე სიმაღლის ყორღანი, რომელზეც თოვლიდან ამოშვერილი აზნიდან შავი ღეროები მოსჩანდა, ჩვენსა და გერმანელთა პოზიციებს შუა იყო აღმართული. თავდაპირველად ყორღანი „საარავისო“ იყო, შემდეგ კი იქ ორი ჩვენი მებრძოლი გაჩნდა — ორდენ „დიდების“ კავალერი თათარი ბაგიროვი და ქართველი ჯუძევაძე. პირველი წახოხდა ტანმორჩილი, ვერცხლისწყალივით მოძრავი ბაგიროვი, რომელსაც [illegible] გრანატი და ავტომატის დისკო ეკიდა. მას არ ჩამორჩა მისი მეგობარი, მაღალი, მხარბეჭიანი ქართველი.

ყორღნის დაკავებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ირგვლივ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ის თითქმის ერთადერთ მაღლობს წარმოადგენდა. ამიტომ ასეულის მეთაურმა მაშინვე მოიწონა ინიციატივა, რაც გამოიჩინა ორმა მეგობარმა, რომლებმაც ნებაყოფლობით იკისრეს ყორღანზე წასვლა.

— მხოლოდ მაგრად გეჭიროთ, — უთხრა მათ ლეიტენანტმა. — დახმარებას გამოგიგზავნით.

— არის მაგრად გვეჭიროს, ამხანაგო ლეიტენანტო! — უპასუხა ბაგიროვმა.

ბაგიროვმა და ჯუძევაძემ მშვიდობით მიაღწიეს ყორღანს. მაგრამ კიდევ რამდენიმე მებრძოლმა მათი მაგალითისათვის მიბაძვა რომ სცადა, გერმანელებმა მოძრაობა შეამჩნიეს და ფლანგიდან ისეთი ძლიერი სროლა ასტეხეს, რომ მებრძოლები იძულებული გახდნენ ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. ჰიტლერელებმაც გადასწყვიტეს დაეკავებინათ ყორღანი და მალე პირველი კონტრიერიში მოიტანეს. ამასობაში ყორღანზე ორ მებრძოლს უკვე მოესწრო ჩასანგრება. ფაშისტთა დიდი ჯგუფი პირდაპირ მათკენ მოდიოდა. სწრაფმა, ფიცხმა ჯუძევაძემ უკვე თითი დაადო ავტომატის სასხლეტ კაუჭს. მაგრამ ამ დროს მას იდაყვში ხელი მოჰკიდა უფრო დინჯმა ბაგიროვმა.

— დაიცა, ჯერ კიდევ ადრეა, — უთხრა მან ამხანაგს.

გერმანელები სულ უფრო ახლოვდებოდნენ და განუწყვეტლივ ისროდნენ ავტომატებს. ტყვიის გრიგალი ზუზუნით გადადიოდა მდუმარე ყორღანზე. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყორღნიდან 50 მეტრზე ჰიტლერელებმა ყვირილი ასტეხეს და წინ გამოექანენ, ბაგიროვმა პირი მიიბრუნა ამხანაგისაკენ და უთხრა:

— დასცხე!

ერთდროულად აკაკანდა ორი ავტომატი. თითქოს გრძელი ჯერით სული შეეხუთათო, ისინი ერთ წამს შესდგნენ, შემდეგ კი კვლავ აკაკანდნენ. ათზე მეტი ჰიტლერელი მკვდარი დაეცა, დანარჩენები კი გაწვნენ და ყორღნისათვის დაშენა გააძლიერეს.

გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს საიერიშოდ წამოშლილიყვნენ, მაგრამ ორი საბჭოთა მეავტომატის ცეცხლი ყოველთვის კვლავ მიწაზე აკრავდა მათ. მძიმედ დაიჭრა ბაგიროვი. ჯერ თავს იმაგრებდა და სროლას განაგრძობდა, შემდეგ კი გრძნობა დაჰკარგა. ჯუძევაძემ სწრაფად შეუხვია ჭრილობა და სანგარში ჩააწვინა. ამ ერთი წუთის შეწყვეტით ისარგებლა მოწინააღმდეგემ. რამდენიმე ჰიტლერელი ყორღანთან სულ ახლოს მოვარდა. ჯუძევაძემ ხელი წამოავლო გრანატს, სტყორცნა მოწინააღმდეგეს და კვლავ ავტომატი მომართა.

უთანასწორო ბრძოლა გრძელდებოდა. ახლა მამაც საბჭოთა მეომარს მარტო ეჭირა ყორღანი გერმანელების წინააღმდეგ, რომლებსაც გააფთრებული იერიში მოჰქონდათ. ის ხან გრანატს სტყორცნიდა მოახლოებულ ჰიტლერელებს, ხან კვლავ ავტომატს უშენდა.

გერმანელები ყორღნის მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოვლას შეუდგნენ. ჯუძევაძის მდგომარეობა ყოველ წუთს უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. უკანასკნელი დისკო ილეოდა. უკანასკნელი გრანატი ნატყორცნი იყო. ამ დროს იერიშზე გადავიდა ასეული, მას მიჰყვა მეორე, მესამე...

საბჭოთა მეომრებმა უკუაგდეს გერმანელები და გარეკეს ისინი მინდორში. სულ უფრო და უფრო შორს ყორღნიდან. ჯუძევაძემ ფრთხილად აიყვანა მიწიდან დაჭრილი ამხანაგი, სათუთად მიიკრა გულზე და წაიყვანა სამედიცინო პუნქტის კარავში, შორს რომ მოსჩანდა.

ი. ლაპონოგოვი

დეპეშები

ჰიტლერმა გადააყენა საარმიო ჯგუფების სარდლები კიუხლერი და კლუგე

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ლონდონში მიღებული ცნობებით, ჰიტლერმა გადააყენა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედი გერმანელთა საარმიო ჯგუფების ორი სარდალი სამიდან. ჩრდილოეთ უბანზე გენერალმა მოდელმა შესცვალა ფონ კიუხლერი, რომლის ჯარები ამ ცოტა ხნის წინათ განდევნილ იქნენ ლენინგრადის გარშემო არსებული მძლავრი გამაგრებული პოზიციებიდან. ცენტრში ფონ კლუგე შეცვლილია ფელდმარშალ ბუშით. თავის პოსტზე რჩება მხოლოდ მანშტეინი. ფიქრობენ, რომ ჰიტლერს ძალიან სახიფათოდ მიაჩნია ახლანდელ კრიტიკულ პირობებში მოახდინოს ცვლილებანი ფრონტის სამხრეთი უბნის სარდლობაში.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, 13 მარტს ღამით „ჰალიფაქსის“ მარკის ბომბდამშენებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს რკინიგზის ობიექტებზე მანში (110 მილზე პარიზის სამხრეთ-დასავლეთით). „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ფრანკფურტსა და სხვა ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 14 მარტი (საკდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იტალიაში იუწყება, რომ ფრონტის ყველა უბანზე პატრულები მოქმედებდნენ. გუშინ მოკავშირეთა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის მთელ რიგ ობიექტებზე. ხმელთაშუა ზღვის საომარ ასპარეზზე მოქმედმა მოკავშირეთა ავიაციამ 1.000 თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

სიკვდილით დასჯა გერმანიაში „სამხედრო სულისკვეთების შერყევისათვის“

ჟენევა, 14 მარტი (საკდესი) ჰიტლერული გაზეთი „დას რაიხი“ იუწყება, რომ ამასწინათ ბერლინში ცნობილი ერთი მუსიკოსი და ორი მოხელე „სიკვდილით დასჯილ იქნენ იმისათვის, რომ ისინი თავიანთი ნაცნობების წრეში არაერთგზის არყევდნენ სამხედრო სულისკვეთებას“. გაზეთი სწერს, რომ ამ და სხვა სიკვდილით დასჯის განაჩენებს, რომლებიც გერმანიაში გამოაქვთ, მიზნად აქვთ „თავიდან აგვაშორონ მოსახლეობაში უიმედობის, ეჭვის ან სასოწარკვეთილების გრძნობის შეჭრა“.

ჰიტლერული ორგანო იხსენებს, რომ ხელისუფალთა ბრძანების თანახმად, „ყოველი საჯარო წაქეზება სამხედრო მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმისათვის და ყოველი საჯარო ცდა შეარყიონ საბრძოლო სულისკვეთება—სიკვდილით ისჯება“ და განმარტავს, თუ რას უნდა ვგულისხმობდეთ ტერმინით „საჯარო“. გაზეთი სწერს, რომ ლაპარაკია „არა მარტო გამოსვლებზე ქუჩაში, კრებებზე ან ადამიანთა დიდი დაჯგუფების წინაშე,—იმისათვის, რომ სიკვდილით იყო დასჯილი, საკმაოა, რათა საუბრის შედეგად თუნდაც ერთ კაცს შეურყიო გამარჯვების რწმენა“.

უცხოეთის ქრონიკა

ჟურნალმა „საბჭოთა მედიცინის ამერიკულმა მიმოხილვამ“ თითქმის მთელი თავისი მესამე ნომერი მიუძღვნა გამოჩენილი საბჭოთა სამედიცინო მოღვაწეების მიერ საბჭოთა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების გადაბეჭდვას. სტატიებს საბჭოთა მეცნიერების უახლეს მიღწევათა შესახებ აქვეყნებენ აგრეთვე ჟურნალები „საიენს სერვისი“ და „საიენს ნიუსლეტერი“. ნიუ-იორკის რადიოსადგურმა, რომელმაც მოაწყო სპეციალური რადიოგადაცემა მედიცინის მიღწევათა შესახებ მეორე მსოფლიო ომში, გამოსვლისათვის მიიწვია საბჭოთა პროფესორი ლებედენკო, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა სამხედრო მედიცინის წარმატებათა შესახებ.

* * *

ამ დღეებში ქალაქ ტორონტოში (კანადა) იდღესასწაულეს „სტალინგრადის დღე“. ამ დღესასწაულის მოწყობაში მონაწილეობდნენ არმიის, სხვადასხვა საზოგადოებრივი და საეკლესიო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრაზმოთ მთელი ძალები საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარებისათვის

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი

ქუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 1944 წელს უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. შეჯიბრების მოწყობის ინიციატივა სოფ. ცცახვირის კოლმეურნეობა „რიონჰესის" კოლმეურნეებმა იკისრეს.

კოლმეურნეობა „რიონჰესი" დიდი სამამულო ომის დღეებში დაწინაურდა და რაიონში პირველი ადგილი დაიჭირა. შარშან კოლმეურნეობამ უხვი მოსავალი მიიღო. კოლმეურნეები წელსაც თავდადებულად მუშაობენ. ყველა საგაზაფხულო სასოფლო სამუშაო წარმატებით სრულდება, ადრეული ხვნა მთლიანად დამთავრდა. გასულ წელთან შედარებით წელს 10 ჰექტარით გადიდდება სათესი ფართობი, სიმინდი დაითესება 208 ჰექტარზე, ბოსტნეული—20 ჰექტარზე, ნიადაგში შეტანილია 190 ტონა სასუქი. ბოსტნეული კულტურებისათვის ნიადაგი მომზადებულია. 7 ჰექტარზე უკვე დარგეს კომბოსტოს ნერგი.

საგაზაფხულო სამუშაოებს დიდი წარმატებით ასრულებენ მესამე, მეხუთე და მეშვიდე საკოლმეურნეო ბრიგადები (ბრიგადირები ამხ. ს. ყუფარაძე, ე. აბულაძე და ი. სუპატაშვილი). კოლმეურნეები ქ. ბუცხრიკიძე, ო. აბულაძე, ბ. ჩხიკვაძე, ნ. აბულაძე და ე. სულაბერიძე სტახანოვურად მუშაობენ.

კოლმეურნეობა „რიონჰესის" კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ წელს კიდევ უფრო გაადიდებენ მოსავალს და თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანენ 20 ცენტნერ სიმინდს, 11 ცენტნერ სოიას და 140 ცენტნერ ყურძენს, გაზრდიან ბოსტნეულის მოსავალს, თითოეული საფურავე ძროხის წველადობას აიყვანენ 800 ლიტრამდე, მთლიანად შეინარჩუნებენ პირუტყვის ნამატს.

ნ. კოპზირიძე

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

თელავი („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. 12 მარტისათვის დათესილი იყო 1.500 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. მოხნულია 2.700 ჰექტარზე მეტი. შარშან ამავე რიცხვისათვის მოხნული იყო 1.192 ჰექტარი, დათესილი კი—262 ჰექტარი.

სოფ. ოსიაურის კოლმეურნეობა „სოციალიზმის წყარომ" (თავმჯდომარე ნ. ქოჩიშვილი) თავთავიანი კულტურები 45 ჰექტარზე დათესა, ნაცვლად გეგმით მიცემული 17 ჰექტარისა, სოფ. არაშენდის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. ხუგაშვილი) 5 დღეში 35 ჰექტარზე დასთესა თავთავიანი კულტურები, ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. აბაშიძე) გეგმის გადამეტებით დასთესა 7 ჰექტარი, სოფ. ჯუყოლოს კოლმეურნეობებმა—15 ჰექტარი, ახმეტის კოლმეურნეობებმა—52 ჰექტარი.

კოლმეურნეები ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ასრულებენ. ქისისხევის კოლმეურნეობა „სოციალიზმის კარის" წევრი სიკო ზაალიშვილი სამამულო ომის მონაწილეა. დიდი სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანებას რომ გაეცნო, მან განაცხადა: მე მოვალე ვარ ახლა ზურგში შრომით ვისახელო თავი, ხვნის დღიურ დავალებას 150 პროცენტით შევასრულებო,—და შეასრულა კიდეც. მან გუთნის-დედად დაიწყო მუშაობა და დღეში 0,7 ჰექტარსა ხნავს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 0,5 ჰექტარისა.

ხვნაზე სწრაფი ტემპით მუშაობს ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (დირექტორი ა. გოგიძე). მოხნული აქვს 750 ჰექტარი. შარშან 11 მარტისათვის მოხნული ჰქონდა 304 ჰექტარი. ბრიგადამ, რომელსაც მედალოსანი არჩილ ნადირაძე ხელმძღვანელობს, 155 ჰექტარი მოხნა. ტრაქტორისტები ქორა მჭედლიშვილი და არსენ ოქროცვარიძე ხვნის დღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ. ნადირაძის ბრიგადას სოლიკო რამაზაშვილის ბრიგადა ეჯიბრება,—მოხნული აქვს 150 ჰექტარი. ტრაქტორისტები დ. ნახუცრიშვილი და ა. ჭიჭიაშვილი მოწინავენი არიან. მტს-ის დირექციამ უნდა უზრუნველჰყოს საწვავის გადატანა თელავიდან ახმეტაში, რათა ტრაქტორების მუშაობა არ შეფერხდეს.

თესვა გაჩაღებულია, მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებს აკლიათ თესლეული. წინანდლის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. დათუკიშვილი) 8,5 ცენტნერი თავთავიანი კულტურების და 10 ცენტნერი სიმინდის თესლი აკლია, სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობას კი—15 ცენტნერი სიმინდის თესლი.

ხ. ქოჩლაძე

კოლმეურნეთა შეხვედრა ფრონტელთან

ადიგენი, (საქდესი). გულთბილად შეხვდნენ სოფელ უდეს კოლმეურნეები თავიანთ წარჩინებულ თანამემამულეს უფროს სერჟანტს მერაბ ამბროსის-ძე მერაბიშვილს, რომელიც ჭრილობის მიღების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში ჩამოვიდა დასასვენებლად.

ამხ. მერაბიშვილი ომის პირველ დღეებიდანვე ფრონტზე იმყოფებოდა. იგი არის სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილე. სტალინგრადთან ბრძოლებში ქვემეხის ვუნდმა მისი მეთაურობით მოსპო ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, დაანგრია მტრის 7 ბლინდაჟი, ხელთ იგდო 4 ქვემეხი და ტყვეები.

ფრონტის სხვა უბნებზე ამხ. მერაბიშვილმა თავისი ქვემეხის ცეცხლით მოსპო მტრის ტანკი, ტყვიამფრქვევის 6 წერტი, მტრის 2 ქვემეხი და გაჟლიტა 20-მდე გერმანელ-ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამხ. მერაბიშვილს მკერდს უმშვენებს საბრძოლო მედალი და წითელი დროშის ორდენი.

კოლმეურნეებს ამხ. მერაბიშვილმა უამბო წითელი არმიის გმირული ბრძოლების შესახებ. თანამემამულეებმა ამხ. მერაბიშვილს უსურვეს მალე გამომრთელდეს და დაბრუნდეს მწყობრში საბჭოთა სამშობლოს მტრებთან ბრძოლის გასაგრძელებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ამ დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ჟიურიმ განიხილა ამ სისტემაში შემავალ საწარმოთა შორის თებერვლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ჟიურიმ თებერვალში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა (დირექტორი ამხ. მეტრეველი, პარტბიუროს მდივანი ამხ. დოქსოპულო, ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. მერაბიშვილი), რომელმაც თებერვალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო ძირითადი სახის (ავტომანქანების შეკეთების) პროდუქციის გეგმა—103,6 პროცენტით, და აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო კანტორა (უფროსი ამხ. რევაზიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. იაკოვლევი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნაზაროვი).

ჟიურიმ პირველი პრემია მიაკუთვნა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას, რომელსაც მიეცა ფულადი პრემია 15.000 მანეთი და დატოვა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ხაზით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მოპოვებული ჰქონდა იანვარში საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

მეორე პრემია მიეკუთვნა აფხაზეთის ავტოსარემონტო კანტორას, რომელსაც მიეცა 10.000 მანეთი და საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც იანვარში მიღებული ჰქონდა თბილისის ავტოსარემონტო კანტორას.

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოების, თბილისის შინების რემონტის სახელოსნოებისა და აჭარის ავტოსატრანსპორტო კანტორის კარგი მუშაობა.

ქარხანა, რომელიც ომის დღეებში შენდება

ჩხარი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონში შენდება ქარხანა, რომელსაც ექნება მეთლახის, კედლის ფილების და კერამიკული საამქროები. ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა (უფროსი ს. მხეიძე) პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით მიაღწია მშენებლობის ვადების დაცვას. ქარხნის ექსპლოატაცია დაიწყება პირველი მაისის დღესასწაულისათვის. იგი ჩვენს ქვეყანას მისცემს ძვირფას სამეურნეო და სამომხმარებლო პროდუქციას. ქარხნის დანადგარების დაპროექტება და დამონტაჟება სწარმოებს ინჟინერ-კონსტრუქტორ ლ. ეზეკელის ხელმძღვანელობით.

ქარხანას საფუძველი ჩაეყარა 1942 წლის სექტემბერში.

დ. კაჭკაჭიშვილი

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

სამამულო ომის მრისხანე დღეებში გაიზარდა მოწინავე ადამიანების მისწრაფება ლენინ-სტალინის პარტიის რიგებში შესასვლელად. საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომმა 1943 წელს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში წევრად მიიღო 162 მოწინავე ადამიანი, პარტიის წევრობის კანდიდატად—294.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა ბირთვი. გასულ წელს პარტიაში წევრად მიღებულთა შორის 85 ქალია, ხოლო კანდიდატად მიღებულია 170 ქალი.

საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების მდგომარეობა კარგად არის დაყენებული ნატანების, გურიანთის, შრომის, ნაგომრის, კონჭკათის, თხინვალის, მაკვანეთის და სხვა საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

ნატანების საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ბაქანიძე) გასული წლის განმავლობაში საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად 16 მოწინავე კოლმეურნე მიიღო. მიღებულთა შორის არიან ჩაის ფოთლის სტახანოველი მკრეფავი დარეჯან ტაკიძე, რომელმაც გასულ წელს 320 შრომადღე გამოიმუშავა (იგი ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებდა), ლუბა ბაქანიძე, რომელსაც გამომუშავებული აქვს 420 შრომადღე, ფრონტელის ცოლი ქენია დოლიძე, რომელიც კოლმეურნეობის შესანიშნავი სტახანოველია და სხვ.

სოფ. ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო სამამულო ომის სახელოვანი მონაწილე ორგზის ორდენოსანი გ. სიამაშვილი, რომელიც ზურგშიც ფრონტული თავდადებით მუშაობს.

სოფ. შრომის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ა. ჩიკოიძე) პარტიაში ახლახან მიიღო კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები—ბრიგადირები ლ. გაგუა, ნ. ჩხაიძე, მ. გაგუა, მოწინავე კოლმეურნე შურა კუკუსიძე, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ბ. სირაძე და სხვები.

რაიონის ბევრ პირველად პარტორგანიზაციაში სათანადო მუშაობა ტარდება პარტიაში ახალმიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის.

სოფ. გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი აგრაფინა პაპავა) პარტიის წევრობის 22 კანდიდატი ირიცხება. პარტიის წევრობის კანდიდატებს მიცემული აქვთ სათანადო პარტიული დავალებები. პარტბიურო ყოველმხრივ ეხმარება მათ დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებაში.

პარტიის წევრობის კანდიდატები ი. ხინთიბიძე და ნ. ღლონტი აგიტატორებად არიან გამოყოფილი კოლმეურნეობაში და ამ საპატიო მოვალეობას ისინი მთელი მონდომებით ასრულებენ. გასული წლის ნოემბერში პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა ამ აგიტატორთა მუშაობის შესახებ. კრებამ მათ კონკრეტული ღონისძიება დაუსახა, რითაც გაზარდა აგიტატორთა აქტივობა. პარტიის წევრობის კანდიდატები ბრიგადირი შ. თოხაძე, ბ. დოლიძე, ვ. ზაქარიაძე და სხვები პარტიულ დავალებას საუკეთესოდ ასრულებენ. თვეში ორჯერ ტარდება კანდიდატთა თათბირები. ამ საქმეში პარტბიუროს ეხმარებიან რაიკომის ინსტრუქტორები.

კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ტატიანა ჩხაიძე) პარტიის წევრობის კანდიდატს ს. სირაძეს დავალებული აქვს რემედასის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მისი ენერგიული მუშაობის შედეგად აქ რემედასის ორგანიზაცია კარგად მუშაობს.

პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკურად აღზრდისათვის სათანადოდ მუშაობენ განახლების, ნაღობილევის, თხინვალის და სხვა კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

რაიონში არიან ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეწევიან პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას უპარტიოთა შორის. ასეთია, მაგალითად, ძიმითის, მზიანის, ბახვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. მათ უკანასკნელი 6-თვის განმავლობაში არცერთი კოლმეურნე არ მიუღიათ პარტიის რიგებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ კოლმეურნეობებში ბევრია მოწინავე ადამიანები, რომლებმაც სტახანოვური თავდადებული შრომით დაამტკიცეს სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება და სურთ შევიდნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

რაიკომი თავის ყველა პლენუმზე იხილავს საკითხს პარტიაში მიღების მდგომარეობისა და ახალმიღებულთა შორის მუშაობის შესახებ.

რაიონული პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საწარმოებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სათანადოდ დაყენებით ლენინ-სტალინის პარტიის რიგები გაზარდონ იმ ადამიანებით, რომლებმაც სამამულო ომის დღეებში დაამტკიცეს თავდადება და სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი და ყველაფერს აკეთებენ ვერაგ მტერზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების მოსაპოვებლად.

დ. გობრონიძე

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

საბჭოთა კავშირში

ნანგრევებიდან სდგება განთავისუფლებული ვიაზმა

სიხარულით აღნიშნავენ ვიაზმის, სიჩოვკის და გჟატსკის მშრომელები გერმანელთა ტყვეობიდან თავიანთი განთავისუფლების წლისთავს. ნანგრევებიდან სდგება გერმანელთა მიერ დანგრეული ვიაზმა. ერთი წლის წინათ აქ სულ 50 სახლი იყო გადარჩენილი. ახლა კი ქალაქში 800-ზე მეტი შენობა ითვლება, შენდება ელექტროსადგური, ამას წინათ პირველი პროდუქცია მოგვცა ტყავეულობის ქარხანამ, გაჩაღებულია რკინიგზის კვანძის, თუჯსასხმელი ქარხნისა და ზეთსახდელი ქარხნის აღსადგენი მუშაობა. მთავრდება ქალაქის აშენების გენერალური გეგმის შედგენა. წელს ვიაზმის აღსადგენად გაღებულია 11 მილიონი მანეთი.

ღორძინდება საკოლმეურნეო სიჩოვკა. ერთი წლის განმავლობაში რაიონში აშენებულია 1.387 საცხოვრებელი სახლი და 1.000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ნაგებობა. კოლმეურნეები ენერგიულად ემზადებიან თესვისათვის. ამ გაზაფხულზე ისინი საგაზაფხულო ნათესების ფართობს 7.000 ჰექტარით გაადიდებენ. (საკდესი).

დამთავრდა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება

13 მარტს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სხდომაზე იხილავდნენ მხატვრული თვითმოქმედების პროფკავშირული დათვალიერების შედეგებს, დათვალიერებისა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

დათვალიერების პროცესში ერთი-ორად გადიდდა თვითმოქმედი წრეების მონაწილეთა რიცხვი. ისინი, ვინც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი, გაგზავნილი არიან ფილარმონიებსა, თეატრალურ სტუდიებსა და სასწავლებლებში. ცალკეული კოლექტივები აზერბაიჯანში, ნოვოსიბირსკში, სარანსკში, ურალსკსა და სხვა ქალაქებში გადაკეთებულია პროფესიულ თეატრებად, პროფესიულ საგუნდო ანსამბლებად და სხვ. დათვალიერების ერთ-ერთი მიღწევა იყო რეპერტუარის ხარისხის თვალსაჩინოდ გაუმჯობესება.

დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას იღებდა ხელოვნების 1.500-ზე მეტი ოსტატი. (საკდესი).

„საბჭოთა ქალი სამამულო ომში"

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მოსკოვში კავშირების სახლში მოაწყო გამოფენა „საბჭოთა ქალი სამამულო ომში". მრავალრიცხოვანი ექსპონატები — სხვადასხვა დოკუმენტები, წერილები, ფოტო და სხვა მასალები ნათლად გვაცნობენ საბჭოთა პატრიოტი ქალების სასახელო საქმეებს ფრონტზე და ზურგში.

გამოფენის სპეციალური განყოფილებანი მიძღვნილია საბჭოთა კავშირის გმირი ქალებისა და სოციალისტური შრომის გმირი ქალებისადმი. საინტერესოა სტენდები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ზურგის მშრომელი ქალების თავდადებულ მუშაობას, მშრომელი ქალებისა, რომლებიც საჭურველს სჭედენ წითელი არმიისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილია მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ გამოჩენილი ქალების — მეცნიერების, მწერლების, ხელოვანების, საზოგადო მოღვაწეების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული სტახანოველი ქალების შესახებ. (საკდესი).

უნივერსალური გაზგენერატორი

ლენინგრადელ მეცნიერ მუშაკთა ჯგუფის მიერ კონსტრუირებულია ახალი გაზგენერატორული დანადგარი „გაზ-42" მანქანისათვის. ახალი დანადგარი შესაძლებელს ხდის გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სითბობი: ბელტოვანი ტორფი, ხის ჯირკები და სხვ. გაზგენერატორს აქვს მოწყობილობა სათბობისათვის ზედმეტი ტენის გამოსაცალკევებლად. (საკდესი).

ჩვენი პარტიის გამოჩენილი ორგანიზატორი

(25 წელი ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალებიდან)

ოცდახუთი წლის წინათ გარდაიცვალა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი. ადამიანი, რომელიც „დაიფერფლა პარტიისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამუშაოზე". (ი. სტალინი). ბოლშევიკების პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი ი. მ. სვერდლოვი ნიჭიერად ათავსებდა თავისში მაღალ თეორიულ მომზადებას დიდ პრაქტიკულ-ორგანიზატორულ მოღვაწეობასთან.

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში (გორკში) ხელოსან-გრავიორის მრავალრიცხოვან ოჯახს 1885 წელს შეეძინა ვაჟი, რომელსაც იაკობი დაარქვეს. 1895 წელს იგი გიმნაზიაში მიაბარეს. მეხუთე კლასიდან დასტოვა უსახსრობის გამო ი. სვერდლოვმა გიმნაზია. 15 წლის ჭაბუკი დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. აქედანვე გაეღვიძა მას ინტერესი პოლიტიკური საკითხებისადმი. მძიმე სამუშაოსთან ერთად ხან აფთიაქში, ხან კი თეატრისათვის როლების გადაწერისას ი. სვერდლოვი დაუცხრომლად მუშაობდა თავის თავზე. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მაშინ ნიჟნი-ნოვგოროდში მყოფმა ა. მ. გორკიმ, რომელიც ახლოს იცნობდა სვერდლოვების ოჯახს. 1901 წელს ი. მ. სვერდლოვი, ნიჟნის მუშათა წრეების მომზადებული და სახელმოხვეჭილი აგიტატორი და ორგანიზატორი, ერთდროულად რამდენიმე ქარხნის მუშათა და მოსწავლე ახალგაზრდობის წრეებს ხელმძღვანელობდა.

1901 წელს ორგანიზაციის დავალებით სვერდლოვმა მოაწყო არალეგალური სტამბა, თვითონვე სწერდა პროკლამაციებს. 1901-2 წლებში, რუსეთში რევოლუციური მოძრაობის არნახული ზრდის პერიოდში, ი. სვერდლოვი ნიჟნის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანია. ლენინური „ისკრა" აღნიშნავდა სვერდლოვის შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. 1902 წელს სვერდლოვი დააპატიმრა მეფის მთავრობამ დემონსტრაციაში ხელმძღვანელი მონაწილეობისათვის. 1903 წლიდან იგი უკვე პროფესიონალი რევოლუციონერია. რუსეთის მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში აწყობს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. სვერდლოვის მაღალი ორგანიზატორული ნიჭი, ახალი ტიპის ხელმძღვანელის ძვირფასი თვისებები—უბრალოება, გაბედულება, სისპეტაკე—მთელი სიძლიერით გამოვლინდა 1904-5 წლებში, როდესაც მას ბოლშევიკების პარტიის დავალებით მუშაობა უხდებოდა სამხრეთისა და ჩრდილოეთ რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. მუშათა დიდი მასების ხელმძღვანელი მუდამჟამს ბრძოლის პირველ ხაზზე იყო, ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე, და პირადი მაგალითით აღფრთოვანებდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. 1905-7 წლის პერიოდში იგი იყო მშრომელთა ერთ-ერთი გაბედული და ნიჭიერი ორგანიზატორი. მასებთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი, არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით ზედმიწევნით იცნობდა თითოეულ ორგანიზაციას, ადამიანებს, კადრებს. მას გააჩნდა ადამიანთა გამოცნობის შესანიშნავი ალღო, საკითხის სწრაფად გადაწყვეტის, სწრაფი მოსაზრებულობის უნარი.

1905 წელს სვერდლოვი აირჩიეს ტამერფორსის კონფერენციის დელეგატად. მისი სურვილი პირადად გაცნობოდა ლენინს მაშინ ვერ განხორციელდა, რადგან ადგილზე დაგვიანებით მოუხდა მისვლა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დავალებით 1906 წელს სვერდლოვი გაიგზავნა მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა დიდი ქალაქების ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. 1906 წელს იგი მეფის მთავრობამ დააპატიმრა. სვერდლოვი დაუცხრომლად განაგრძობდა მუშაობას ციხეშიც. პატიმრობის შემდეგ კვლავ იატაკქვეშ მუშაობას განაგრძობს. 1909 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე ი. მ. სვერდლოვის ცხოვრება, როგორც ლენინი აღნიშნავდა, წარმოადგენდა უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას რუსეთში, ამავე დროს მას „ათეულ წლობით ციხიდან გადასახლებასა და გადასახლებიდან ციხეში უხდებოდა ყოფნა". იგი თითქმის ყოველთვის ახერხებდა შორეულ ციმბირში გადასახლებიდან გამოქცევას, პარტიის დავალებით აწყობდა ორგანიზაციებს და რაზმავდა მასებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

რთული და მძიმე პირობების, მეფის მთავრობის მხრივ სასტიკი დევნისა და რეპრესიების მიუხედავად, სვერდლოვი გმირულად იბრძოდა თავისუფლებისათვის, ბოლშევიკური პარტიის იდეებისათვის.

1912 წელს პრაგის კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის წინადადებით ამხანაგ სტალინთან ერთად ი. სვერდლოვი დაუსწრებლად აირჩიეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად და რუსეთის ბიუროს—რუსეთში რევოლუციური მუშაობის გასაწევად შექმნილი პრაქტიკული ცენტრის წევრად, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

1913 წლის დასაწყისში სვერდლოვი, გადასახლებიდან გამოქცეული, ამხანაგ სტალინთან ერთად მუშაობდა გაზეთ „პრავდის" რედაქციაში. იმავე წელს კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ტურუხანსკის მხარეში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სვერდლოვი ლენინთან და სტალინთან ერთად უდიდეს მუშაობას აწარმოებს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის. სვერდლოვი მუდამ ლენინსა და სტალინს მიჰყვებოდა, როგორც მტკიცე ლენინელი, იმპერიალიზმის აგენტების—საზიზღარი ტროცკისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917 წელს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ი. მ. სვერდლოვი დაინიშნა ახალი ტიპის სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ პოსტზე სვერდლოვი უდიდესი ენთუზიაზმით და ენერგიით მუშაობდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. სვერდლოვის უახლოესი მონაწილეობით განხორციელდა ჩვენი სახელმწიფოს მიერ მიღებული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სამოქალაქო ომის პერიოდში.

ლენინ-სტალინის პარტიის საამაყო შვილი, ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მთელ თავის უნარსა და მჩქეფარე ენერგიას სოციალისტური სამშობლოს დაცვას, მის განმტკიცებას ახმარდა.

1918 წელს იგი ამბობდა, რომ ჩვენი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის საჭიროა „შევქმნათ ძლიერი არმია... როდესაც სოციალისტური სამშობლოს წინაშე საფრთხე წამოიჭრება, თითოეული ჩვენგანი, ვინც უნდა იყოს ის, მთელ თავის ძალღონეს იქითკენ მიმართავს, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა გაუწიოს სოციალისტურ სამშობლოზე გამოლაშქრებას, საიდანაც უნდა იყოს ეს გამოლაშქრება". „საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა იარაღით ხელში თითოეული მუშისა და გლეხის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა",—სწერდა იგი 1918 წელს საპირველმაისო მოწოდებაში. ი. მ. სვერდლოვი აცილებდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად ფრონტებზე მიმავალ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშებს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებს—საზიზღარ ტროცკისა და მის დამქაშებს განზრახვა ჰქონდათ თავიანთი ბინძური ხელი აღემართათ ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინისა და ი. მ. სვერდლოვის წინააღმდეგ. ფაშიზმის მოსყიდულ ლაქიებს საკადრისი მსჯავრი დასდო ჩვენმა ხალხმა.

უჭკნობი შარავანდედით მოსილი ი. სვერდლოვის ნათელი სახე მუდამ დარჩება ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა ხალხის ხსოვნაში. ი. მ. სვერდლოვი ჩვენთან არის ახლაც ამ დიდ განმათავისუფლებელ ომში, როცა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გმირი წითელი არმია მუსრს ავლებს ფაშისტ დამპყრობლებს, დასავლეთისაკენ მიერეკება მტერს და აახლოვებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

მოქმედი არმია. (ბელორუსიის პირველი ფრონტი). სურათზე: მოთხილამურე მზვერავთა ჯგუფი მიდის საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

ფოტო მ. მარკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

კიეველ ფეხბურთელთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის

ზესტაფონი („კომუნისტის" საკ. კორ.). ზესტაფონის რაიონის ფიზკულტურელები და კოლმეურნეები ფართოდ გამოეხმაურნენ კიეველ ფეხბურთელებისათვის ძეგლისა და მათი სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგები თანხების შეგროვების ინიციატივას. ამ ანგარიშზე სახბანკის ზესტაფონის განყოფილებაში 8 მარტისათვის შეტანილი იყო 106.300 მანეთი.

როდინოულის სასოფლო საბჭოში შეაგროვეს 17.000 მანეთი, ცხრაწყაროს სასოფლო საბჭოში 15.000 მანეთი, ქვედასაქარაში 12.000 მანეთი, ზესტაფონის პირველ საშუალო სკოლაში 3.576 მანეთი.

ზესტაფონის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე ოთარ დავითის-ძე სალაძემ 250 მანეთი შეიტანა, ამავე სკოლის მოსწავლე ციალა ცერცვაძემ 150 მანეთი, მეორე სვირის საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონა კორკოტაძემ 200 მანეთი, კლდეეთელმა კოლმეურნე მარიამ წითელაშვილმა 500 მანეთი, მოჭიდავე ქ. გეწაძემ 500 მანეთი, მასწავლებელმა გ. ჰუმბურიძემ 500 მანეთი, მასწავლებელმა ან. კვესიტაძემ ერთი თვის ხელფასი.

თანხების ნებაყოფლობით შეგროვება კვლავ წარმატებით გრძელდება.

აბელმოში

სოხუმი, 13 მარტი. სოხუმის მახლობლად ამწვანებულ პლანტაციებსა და საცდელ ნაკვეთებში სდგას ეთერზეთოვანი მრეწველობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სოხუმის ზონალური სადგურის პატარა შენობა.

ზამთარ-ზაფხულ ნაკვეთებზე, ლაბორატორიებში, ორანჟერიებში სადგურის მუშაკები ახდენენ დაკვირვებებს მცენარეთა ცხოვრებაზე, ამუშავებენ საბჭოთა სუბტროპიკების პირობებში ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისა და ათვისების საშუალებებსა და მეთოდებს.

ჩვენი ქვეყნის პარფიუმერიის მრეწველობას სჭირდება სხვადასხვა ეთეროვანი ზეთი-ფიქსატორები (სურნელებათა სიმტკიცის შესანარჩუნებლად). ეს ძვირადღირებული სხვადასხვა ზეთი წინათ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა.

ფიქსატორთა შემცველია ერთწლიანი, სითბოს მოყვარული მცენარე—აბელმოში, რომლის სამშობლოც ინდოეთია.

ოთხი წლის განმავლობაში სწარმოებდა საცდელი მუშაობა ამ მცენარის თესლის მისაღებად. მაგრამ მისი ყვავილობის მიღწევა არ ხერხდებოდა.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაჭრელად 1943 წელს მუშაობა დაიწყო ინსტიტუტის ზონალური სადგურის მეცნიერმა თანამშრომელმა ბრონისლავა ეგნატეს-ასულმა ივანოვამ. ამ მიზნით მოწყობილ იქნა აგროფიზიოლოგიური ლაბორატორია. გამოირკვია, რომ აბელმოში მოკლე დღის მცენარეა და სოხუმის შედარებით გრძელი დღის პირობებში მას არ შეუძლია ნაყოფის მოცემა, ლაბორატორიამ შეიმუშავა ხელოვნურად შემოკლებული დღის პირობებში ჩითილის მოვლა-მოყვანის მეთოდი.

გასული წლის აგვისტოში მცენარე პირველად აყვავილდა, ხოლო სექტემბერში სადგურმა უკვე მოკრიფა მწიფეთესლიანი პირველი კოლოფები. „ინდოელმა სტუმარმა" ახალი სამშობლო ჰპოვა. ახლა გამონახულია ჩვენს ქვეყანაში ამ კულტურის მოყვანის შესაძლებლობა.

სადგური, რომელსაც აბელმოშის თესლის საკმაო რაოდენობა მოეპოვება, მიმდინარე წლის გაზაფხულზე საცდელ პლანტაციებში დასთესავს მას ამ კულტურის გამრავლებისა და მისი საწარმოო მასშტაბებით მოყვანის მეთოდების შემდგომი დამუშავებისათვის.

ჩატარდება სამუშაოები ამ მცენარის ადრეული სახეობის გამოსაყვანად, რომელიც დამწიფდებოდა ჩვენს პირობებში ისე, რომ ჩითილის მოვლა-მოყვანიდან პლანტაციებში გადარგვამდე არ დასჭირდებოდა ხელოვნური ზემოქმედება. (საქდესი).

პატარა ფელეტონი

ლიანდაგები

გებელსი და მისი ხელქვეითები—სიცრუის ოსტატები მეტად შეშფოთებულნი არიან.

გერმანიის არმიის კომუნიკაციები ცაში იტყორცნება. რკინიგზები ადგილ-ადგილ სავსებით მოშლილია. დილით ლიანდაგი სრულ წესრიგში იყო. საღამოს ლიანდაგი საერთოდ აღარ არსებობს. რელსებისა და შპალების ადგილას ხრამი და გადათხრილი მიწაა. სადაც სადგური უნდა ყოფილიყო, ნანგრევთა ქაოსია.

და ეს ხდება გერმანიის არმიის ღრმა ზურგში, ფრონტებიდან შორს, იქაც კი, სადაც დაბომბვა არ ხდება, „მყუდრო ზონაში".

ვინ სჩადის ამას? რით უნდა აიხსნას ახალი საფრთხე?

გებელსმა ვალდებულად სცნო თავი სპეციალურად გამოსულიყო რადიოთი და გაეკეთებინა ახსნა-განმარტება რკინიგზების საკითხზე. აი რა სურათი დახატა ტყუილების გუდამ:

> ხშირად ლიანდაგი გადის ბანდებით სავსე უღრან ტყეზე. ცხადია, მტერი დაქანებით ესხმის თავს ლიანდაგს, რომლითაც მარაგდება ჩვენი ფრონტი. აფეთქება ყოველდღიური მოვლენაა. ამავე დროს სადგურებსა და მისადგომ გზებზე მოწინააღმდეგე ყველგან იყენებს ბრძოლის ვერაგულ მეთოდებს და დაყოვნებული მოქმედების ფეთქებად ნაღმებს...

სავსებით გასაგები სურათია! მაგრამ... რა შუაშია „უღრანი ტყე?"

პირდაპირ უნდა ვთქვათ: დოქტორმა გებელსმა აქ ისევ იცრუა.

ცხადია—რა მიზნით. უნდა დაანახვონ გერმანელ ხალხს, რომ ასეთი „ექსცესები" შესაძლებელია მხოლოდ მიყრუებულ, მივარდნილ ადგილებში, სადაც პარტიზანების დაჭერა სს-ელთა ყველაზე მძვინვარე სადამსჯელო რაზმებსაც არ შეუძლიათ.

ეს რომ ასე არ არის, დაე მოგვითხროს დოქტორმა დორპმიულერმა. დაე ერთმა ჰიტლერელმა გაამათლოს მეორის ნათქვამი. დოქტორ დორპმიულერს ჰიტლერულ გერმანიაში გზათა მინისტრის „მცირე" პოსტი უჭირავს. და ამას წინათ იგი სასწრაფო მივლინებით წავიდა რუმინეთსა და ბულგარეთში, უნდა შეემოწმებინა რკინიგზების მდგომარეობა ჰიტლერისადმი „მეგობრულ" ორივე ამ ქვეყანაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამხრეთ უკრაინაში წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის გუგუნმა უკარნახა დოქტორ დორპმიულერს ეს სასწრაფო მივლინება. როგორც უნდა იყოს, დოქტორი დორპმიულერი მოგზაურობით კმაყოფილი დარჩა და ბულგარელი დამქაშის — მინისტრ ხრისტო პეტროვის მოხსენების შემდეგ დამამშვიდებელი დეპეშა გაუგზავნა ფიურერს: გზები, სადაც კი მე გავიარე, სრულ წესრიგშია.

დეპეშა საღამოს გაგზავნეს. დილით კი მინისტრმა დორპმიულერმა წასვლა ველარ შესძლო. სოფიასა და ბელგრადს შუა გზა აფეთქებული აღმოჩნდა. ასევე გზა ბულგარეთის საზღვრის ახლოს. და ჰიტლერის მინისტრი მოემწყვდა.

დოქტორი დორპმიულერი იძულებული გახდა უაღრესად საიდუმლოდ, ჩვეულებრივი ავტომანქანით გაპარულიყო ბულგარეთიდან, შემოვლითი გზით და თან მარშრუტებს იცვლიდა. რა მოახსენა მან ფიურერს, რაზე ეთათბირა შემდეგ გებელსს—ეს არ ვიცით.

მხოლოდ მტკიცედ ვიცით: სოფიასა და ბელგრადს შუა არავითარი „უღრანი" ტყე არ არის. აფეთქებები კი იყო.

თვით ნიადაგი იწვის ყველგან პირსისხლიან დამპყრობთა ფეხქვეშ.

რიმა კანდელაკი

ლექციები და მოხსენებები

16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) შესდგება ამხ. აბაშმაძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„პარიზის კომუნის 73 წლისთავი".** ლექციის შემდეგ ახალი ქართული კინოფილმი: „კინო-კონცერტი". შესვლა თავისუფალია.

17 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (დურცელაძის ქ. 1) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი **ბ. ა. კუფტინი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: **„საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურა".** ბილეთები იყიდება მუზეუმის სალაროში. შემოსავალი ჩაირიცხება ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში.

გორის თეატრის პრემიერა

17 მარტს გორის თეატრი მაყურებელს უჩვენებს დიდებულიძის პიესას „მეოთხე სიმფონია". პიესას სდგამს ს. ვაჩნაძე, მხატვრულად აფორმებს ნ. კილოსანიძე, მთავარ როლებს ასრულებენ: დ. ოქროცვარიძე (პროფ. გორბაჩოვი), ს. კალანდარიშვილი (კალიუჟნა), შ. ხერხეულიძე (კიპარენკო), ხ. ბეროზაშვილი (გალინა), ე. არაქელოვი (მიხალიჩ), შ. ხაჭალია (პოლკოვნიკი), გ. ომიაძე (გენერალი), მ. ბახტაძე (ვერა ანდრეევნა), ვ. ოსაძე (ტარნოვსკი) და სხვ. პიესა ასახავს საბჭოთა ინტელიგენციის ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

თეატრებში

15 მარტს: სახოპერა—„რახილ". რუსთაველის—„უდანაშაულო დამნაშავენი". მარჯანიშვილის—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". სომხური—„ღალატი". ახუნდოვის — „აშუღ ყარიბი". მუსკომედიის—„როზ-მარი". მოზარდი მაყურებლის—ქართული—„ნაცარქექია", რუსული—„განდგომილი".

კინოებში

15 მარტს: რუსთაველი—„ცისარტყელა". ოქტომბერი—„ერთი გემის ამბავი". დამკვრელი—„დურსუნ". კომკავშირელი—„სიმღერა სიყვარულზე". ლიუქსემბურგის სახ.—„ნარინჯის ველი". სპარტაკი—„ერთი ოჯახი". 26 კომ. სახ.—„სასამართლო მოდის".

I სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან თამარ ქავთარაძის მამის სევასტი ქავთარაძის გარდაცვალებას.

მეუღლე მართა, შვილები საშა, კარლო, თალიკო, რძლები ლიდა, ქეთო შვილებით იუწყებიან ილიკო ანტონის-ძე ივანოვის გარდაცვალებას. 305

ცოლი მინადორა, შვილები გრიგოლ, პართენ, ნინო, ვერა ოჯახებით იუწყებიან სტეფანე კირილეს-ძე ხახიას გარდაცვალებას. 304

თინა, ანტონ და ქეთო ხარისჩარიშვილები იუწყებიან ირაკლი ნიკოლოზის-ძე ცერაძის გარდაცვალებას. 300

მშრომელთა დეპუტ. თბ. საბჭოს აღმასრ. კომიტ. ადგილ. მრეწვ. კომბინატის კოლექტივი იუწყება შუშანიკ გრიგოლიევის გარდაცვ. გამოსვ. 16/III, 5 ს. შამქორის, 22.

უახლოესი მეგობრები იუწყებიან დათიკო თავაძის ძმის ვლასი ივანეს-ძე თავაძის გარდაცვალებას.

მშობლები კლარა, დანიელ, დები კლეოპატრა, ლუიზა, ვენერა მეგრელიშვილები იუწყებიან თამილას გარდაცვ. გამოსვ. 16/III, 4 ს. სასამართლოს, 48, საავადმყ.

ცოლი მართა, შვილები მარო, გიგლა ცოლით ნუცათი, სიძე კოწია ფარცვალაძე შვილებით იუწყებიან ვარლამ ნიკოლოზის-ძე ჯლამაძის გარდაცვალებას. 299

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-78-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. | ტირაჟი 91.800 | უე 00387